პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ ეინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 17 იანვარი □ № 14 (17058) □ ფასი 2 კაპ.

დაძაბულ წელს — ჩვენი შრომა, შემართება!

ბეითი ხუთწლედის მესამე წელიწადმა ორ კვირაზე მეტია თავისი ანგარიში დაიწყო...

როგორი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანებისათვის ახალი, 1978 წელი?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა ღრმაშინაარსიანმა და ყოვლის მომცველმა სიტყვამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ზუსტი და ამომწურავი პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. რესპუბლიკის მშრომელთა კონკრეტული ამოცანების განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელი სესია. ერთი სიტყვით, მოცემულია ხუთწლედის ამ შუა წლისათვის ჩვენი შრომის, ბრძოლის, მოქმედების დიდი და პასუხსაგები პროგრამა, ნაჩვენებია ამ პროგრამის შესრულების, განხორციელების პრაქტიკული გზები და რეზერვები.

და აი სწორედ ამ ბევრისმეტყველ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი, მიმართული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ეს უმნიშვნელოვანესი შთამბეჭდავი და შთამაგონებელი პოლიტიკური დოკუმენტი ესოდენ კმაყოფილებითა და მოწონებით რომ შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველ ჩვენგანს აღფრთოვანებს და ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

წერილში ღრმად და ნამდვილი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლაპარაკია მეათე ხუთწლედის წინა ორი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, ნაჩვენებია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და, როგორც იტყვიან, ვიწრო ადგილების დაძლევის გზები.

როცა ვეცნობით, ვუკვირდებით ამ წერილში მოცემულ საერთო ციფრებს, ფაქტებს და სხვა მონაცემებს, უმალ თვალწინ წარმოგვიდგება საქართველოს მშრომელთა ალალი ვნელილიც, რომელიც მეტად თვალსაჩინო გახდა განსაკუთრებით გასულ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების წელს. რესპუბლიკის მრეწველობამ გასულ 1977 წელი ორი კვირით ადრე შეასრულა რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ორი წლის დავალება. წინა ხუთწლედის პირველ ორ წელთან შედარებით 37 პროცენტით გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება. გასულ წელს ჩვენმა მეჩაიეებმა 1980 წლის დამლევისთვის დასახული მიჯნა გადალახეს. სასახსოვნო წინსვლაა მშენებლობაში, მაღლდება პროდუქციის ხარისხი, საერთოდ კი, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის დონე ვითარდება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხალხნაო მშენებლობა, სამედიცინო დახმარება, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი... წარმატებები ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანშია, რაც მიღწეულია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის მუდმივი ზრუნვის, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად.

მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის სულისკვეთება ის არის, რომ არ დაგვაკმაყოფილოს დღევანდელ მოპოვებულმა წარმატებებმა, პირიქით, ყოველივე კარგის მოწონებას, დადებითის განზოგადებით, უფრო უკეთესად ვიმუშაოთ 1978 წელს, ამ პირველი დღეებიდანვე უზრუნველვყოთ მუშაობის ზუსტი რიტმი, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, თითოეულმა რაიონმა და ქალაქმა შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

წერილი მოეწოდება ყველა მშრომელს — უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, უფრო აქტიურად ჩავებათ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, უმცირესი დანაბარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში!

დღეს, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის მერვე პლენუმის შედეგებს, როცა ესოდენ დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, საკავშირო პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილს, საჭიროა ნამდვილი მეურნის თვალით განვსაჯოთ და ავწონ-დავწონოთ ყოველივე, როგორ მოვაწყოთ მუშაობა უკეთ ახალ წელს, როგორ გამოვიყენოთ უფრო სრულად რეზერვები, რა უნდა გააკეთოს ამისათვის თითოეულმა თავის სამუშაო ადგილზე, საამქროში, მშენებლობაზე, მინდვრად, ფერმაში, ბრიგადაში, ბაღებსა და ვენახებში, პლანტაციებში. დაუყოვნებლივ ვიზრუნოთ ნაკლის გამოსწორებაზე.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ზოგი ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციის საქმიანობა, როცა ზოგჯერ გეგმებს ახრულებენ და პროდუქციის მოცულობას ადდებენ არა ინტენსიური ფაქტორების, არამედ წარმოების ექსტენსიური გაფართოების, საწარმოო ფონდების გადიდებისა და დამატებითი მუშახელის გამოყენების გზით. მიუხედავად კარგი წინგადადგმული ნაბიჯებისა, ვერ გვაკმაყოფილებს ჩვენი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

საჭიროა პარტიულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მუდმივი კონტროლი დაუწესონ თითოეულ შრომითს კოლექტივში გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, დროულად გამოავლინონ ჩამორჩენილები, ანალიზი გაუკეთონ მიზეზებს და პასუხი მოსთხოვონ კონკრეტულ დამნაშავეებს.

ყოველთვის, როცა შეჯიბრების შედეგებს ვაჯამებთ, ჩამორჩენილებად უნდა მივიჩნიოთ ისინიც, რომლებიც შემცირებული გეგმებით ფონს იოლად გადიან, ბარბარნებადლურად მუშაობენ, თავს არ იწუხებენ და წლიდან-წლამდე ერთ ადგილს ტკეპნიან.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე აღინიშნა, ბევრგან ჯერ კიდევ ეფექტიანად ვერ იყენებენ საპრაქტიკო სიმძლავრეებს, შრომის ნაყოფიერების ზრდას ბევრ საშუალებას. მაგალითად, საწარმოო სიმძლავრეებს ცუდად ითვისებენ მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში, რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ჰიდროაპარატურის საპრესო კი აი უკვე ერთი წელია ცდება.

ბევრი ნაკლია აღსანიშნავი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშიც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი ზარალი მოგვდის მარტო იმის, გამო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან მეჩხერი ჩაის პლანტაციები, ვენახები და ბაღები გვაქვს?!

როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების, ისე ჩვენი რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში არაერთი შესანიშნავი ინიციატივა და თაოსნობა იშვა. წერილში სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რომ ეს სასარგებლო წამოწყებანი კიდევ უფრო ფართოდ გავავრცელოთ და ყველას კუთვნილებად ვაქციოთ. განა შეუწყნარებელი არ არის ის ფაქტი, რომ ზოგან ფორმალურად მოეკიდნენ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას — „არც ერთი უდისციპლინო, ჩამორჩენილი — ჩვენ გვვრდთან!" ჯერ კიდევ ყველგან აქტიურად არ ინერგება პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პიონერთა ბიბლიოთეკის ინიციატივა — ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვქონდეს ჩამორჩენილი საწარმოები! კარგად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებმაც ახლავე, ამ დღეებშივე მოისმინეს და განიხილეს უკვე გასული ორი კვირის მუშაობის შედეგები და ბევრ შრომითს კოლექტივს დაუხახეს საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. მითუმეტეს, რომ ბევრგან იანვარში კარგ სტარტს ვერ დაიკვეხნიან, რომ მეუშაპიზ ტემპი მეტად ნელი და დამაფიქრებელია.

„რაც უფრო მდიდარია ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ყაირათიანი უნდა იყოს იგი", — აღნიშნულია წერილში. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ უქაირათობასა და ფლანგვიანობას, ვიყოთ მომგირნენი, გავუფრთხილდეთ ყოველ კაპიკს, მანეთს, ყოველ კილოგრამ ლითონს, საწვავს, ყოველ მეტრ ქსოვილს... ვეღარ შევურიგდებით მუშახელისა და სამუშაო დროის დიდძალ დანაკარგებს, შრომის საგეგმო, საფინანსო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის მთელ რიგ ფაქტებს, რაც, სანწუხაროდ, არც თუ იშვიათად გვხვდება.

მაგრამ, რა ღონისძიებანიც უნდა დავსახოთ და განვახორციელოთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ, თუ უფრო მეტი სიმკაცრით, მთელი შეურიგებლობით არ ვიბრძოლებთ სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, თუ ბოლომდე და თანმიმდევრულად არ განვამტკიცებთ სოციალისტურ კანონიერებას, არ გავაკანონებთ, არ გავშემნდთ მავნე ბაცილებისაგან ჩვენს საზოგადოებრივ კლიმატს. ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის განსაკუთრებული მოთხოვნაა და ერთხელ კიდევ ხაზგასმით არის ჩაწერილი ახალ პარტიულ დოკუმენტში. რომელიც ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ახალგაზრდა-პოლიტიკური ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ.

ამ დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და მათი ავანგარდი — კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საბჭოთა ხალხისადმი მიმართულ წერილს, მის მოწოდებას — **გადავაჭარბოთ 1978 წელი დამაკვრელური შრომის წლად** — და ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

უწინარეს ყოვლისა კი, საჭიროა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა ორგანოებთან, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილის ღრმა და საფუძვლიანი განმარტებისათვის მთელი მასობრივ-პოლიტიკური, ორგანიზატორული, საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა იმ მიზნით წარმართონ, რომ თითოეული ადამიანი სწორად გაერკვას სადღეისო პრობლემებში, მონახოს ყველამ თავისი კონკრეტული ადგილი ერთიან საბრძოლო მწყობრში ხუთწლედის საპატიო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

დიდ მიზანს — ჩვენი დიდი შრომა და შემართება!

„სკკპ-6", „სოიუზ-26", სოიუზ-27":

ერთობლივი ფრენა

ფრენის მართვის ცენტრი, 15 იანვარი. (საკდესი). ფრენას განაგრძობს ხამეცნიერო-კვლევითი „სალუტ-6"-„სოიუზ-26"-„სოიუზ-27" კომპლექსი და მისი ეკიპაჟი — კოსმონავტები იური რომანენკო, გიორგი გრეჩკო, ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ოლეგ მაკაროვი.

დღეს დილის რვა საათზე დაწყებული მეხუთე სამუშაო დღის პროგრამის თანახმად ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი ამთავრებს ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამას.

რთული კოსმოსური სისტემების მართვის მეთოდების დახვეწის მიზნით მოეწყო კომპლექსის — ორბიტული სადგურისა და ორი შეპირაპირებული ხომალდის ორიენტაციისა და სტაბილიზაციის ტექნიკური ექსპერიმენტი. ნაშუადღევს დამთავრდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ექსპერიმენტი „ციტოსი", რის შემდეგაც ბიოლოგიურ ობიექტებიან კოლოფებს „სოიუზ-26" ხომალდის დასაშვებ აპარატში გადაიტანენ.

კოსმონავტები ასრულებენ „სოიუზ-26" ხომალდის დედამიწაზე დასაბრუნებლად მომზადების საბოლოო ოპერაციებს, რთავენ და ამოწმებენ საბორტო სისტემებს და ძრავის დანადგარს. ხომალდში გადაქვთ და აწყობენ განხორციელებული კვლევის მასალებს და დასაბრუნებელ მოწყობილობას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენების თანახმად, ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, ჯანიბეკოვი და მაკაროვი თავს კარგად გრძნობენ.

ორბიტული პილოტირებული კომპლექსის ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

საკდესის ცნობა

კოსმონავტები ჯანიბეკოვი და მაკაროვი დედამიწაზე დაბრუნდნენ

„სალუტ-6"-„სოიუზ-27" ორბიტული კამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი ფრენას განაგრძობს

1978 წლის 16 იანვარს „სალუტ-6 — „სოიუზ-26" — „სოიუზ-27" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში დაგეგმილი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი და ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი, როგორც ფრენის პროგრამით იყო გათვალისწინებული, დედამიწაზე დაბრუნდნენ. „სალუტ-6" ორბიტულ სადგურში მუშაობას განაგრძობენ კოსმონავტები ამხანაგები იური ვიქტორის ძე რომანენკო და გიორგი მიხეილის ძე გრეჩკო.

„სოიუზ-26" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დასავლეთ რაიონში ქალაქ ცელინოგრადის დასავლეთით 310 კილომეტრზე.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

გაანგარიშებულ დროში „სოიუზ-26" კოსმოსური ხომალდი განპირაპირდა „სალუტ-6" — „სოიუზ-27" ორბიტული კომპლექსისაგან. პროგრამის შესაბამისად მოხდა ხომალდის დამუხრუჭება და მისი ნაკვეთურების განცალკევება. დასაშვები აპარატის მართული ფრენის შემდეგ ატმოსფეროში ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა. უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილი დაჯდომის ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა დედამიწაზე.

„სოიუზ-26" ხომალდის დასაშვები აპარატით დედამიწაზე ჩამოტანილია მასალები, რომლებშიც მოცემულია იმ გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე სრულდებოდა „სალუტ-6" ორბიტული სადგურის ფრენის დროს.

უნიკალური კოსმოსური ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა. კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად ხუთი დღის მანძილზე „სალუტ-6" სადგურში ერთდროულად მუშაობდა „სოიუზ-26" და „სოიუზ-27" ორი კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟები: კოსმონავტები ი. ვ. რომანენკო და გ. მ. გრეჩკო, ვ. ა. ჯანიბეკოვი და ო. გ. მაკაროვი. ამ ხნის მანძილზე ოთხმა კოსმონავტმა შეასრულა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, მათს შორის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ბიოლოგიური ექსპერიმენტი „ციტოსი". წარმატებით განხორციელდა იმ რთული ორბიტული კომპლექსის მოძრაობის მართვის მეთოდების დახვეწა, რომელშიც შედიოდა მეორე თაობის პილოტირებული სამეცნიერო სადგური და ორი კოსმოსური ხომალდი.

„სალუტ-6" — „სოიუზ-26" — „სოიუზ-27" საბჭოთა პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია შესაცვლელკეპაუებიანი მუდმივმოქმედი პილოტირებული ორბიტული სადგურების შექმნის გზაზე.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი დიდი მიღწევა მკაფიოდ მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მეცნიერების ინტერესებისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის კოსმოსური ტექნიკის გამოსაყენებლად კვლევის შემდგომი გაფართოების შესახებ.

□

ცელინოგრადი, 16 იანვარი. (საკდესის კორესპონდენტი ო. ერკომბაევი). „სოიუზ-26" დღეს რბილად დაეშვა საბჭოთა მეურნეობა „იშიმსკის" დათოვლილ მინდორზე. კოსმონავტები გამოვიდნენ დასაშვები აპარატიდან და სიამოვნებით შეისუნთქეს ცივი ჰაერი.

მათ შესახვედრად უკვე მიიჩქაროდნენ მექანიზატორები, მონადირეები მინდორში თოვლშეკავების სამუშაოზე იყვნენ. ვლადიმერ ჯანიბეკოვსა და ოლეგ მაკაროვს პირველმა ჩამოართვა ხელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბრალ ნურტაზინმა.

კოსმონავტებმა მადლობა გადაუხადეს მიწათმოქმედებს გულითადი შეხვედრისათვის.

— მე და ოლეგი მზად ვართ შევასრულოთ სამშობლოს ახალი პასუხსაგები დავალება, — განაცხადა ვლადიმერ ჯანიბეკოვმა.

ტემპი, რიტმი — ამთავითვე!

ასეთია საქართველოს მშრომელთა პასუხი

მკლავმოუღლელად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ" მაღაროელთა კოლექტივის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

გულს სიამაყით გვივსებს მოწოდების ამ წერილში მოყვანილი ფაქტები, რომ ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 8,4 პროცენტით, ხოლო წარმოების მოცულობის ზრდამ 10,8 პროცენტი შეადგინა. ამ დიდ ეკონომიკურ წინსვლაში ჩვენი სამთოელების წვლილიც აოის. ახლა ქართული მანგანუმის ქალაქში ყველა საწარმო გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებებს.

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას — ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის უზრუნველყოფთ ხუთწლედის სამი წლის დავალების შესრულება — ამ წერილმა ახალი ძალა და ცხოველმყოფელობა შემატა. პირადად მე და ჩემი შრომითი მეგობრები დღიურ ნორმებს ყოველთვის 140-150 პროცენტით ვასრულებთ. შარშან მთლიანად ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ 2.006 ტონა ზეგეგმითი უმაღლესი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატი გაუგზავნა ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით 12.700 მანეთი დავზოგეთ.

კიდევ უფრო კარგად დავიწყეთ ახალი სამეურნეო წელი. ჩვენს ანგარიშზე იანვრის პირველ დეკადაში უკვე 150 ტონა ზეგეგმითი მაღანია. ასეთივე მაჩვენებლები აქვთ სახელგანთქმულ გვირაბგამყვანებს პ. ჭიტაძეს, გრ. სამყურაშვილს, ჭ. კაპანაძეს და ათობით სხვას.

გულით ვუერთდებით ამ საპატიო მოწოდებას და პირობას ვდებთ, რომ კვლავაც მკლავმოუღლელად ვიშრომებთ ჩვენი შობლიური კომუნისტური პარტიის სადიდებლად, ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ნ. ცერცვაძე,
ჭიათურის სამთამადნო კომბინატის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

შეჯიბრების ავანგარდში

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელები დიდი ინტერესით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს, „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ეს წერილი საბჭოთა ადამიანის ხელმძღვანელობა, ამ ბრძოლის ორგანიზატორი ტ. ოდიმარია ხელმძღვანელობს, რაზოლს წევრებმა გადაწყვიტეს წელს ხელის შრომის გამოყენებლად, მხოლოდ მექანიზაციით დაამუშავონ სიმინდის ნათესები და საშეოლდ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი, პირობის შესრულებას იანვრის პირველი დღიდანვე შეუდგნენ. ახლა სიმინდის დასათესად ამზადებენ ნიადაგს, საჭირო რაოდენობაზე მეტი მომბარავეს კონდიციური თესლი.

მეცხოველეობის ფერმაში ზამთარშიც არ შემცირებულა წველადობა. 16 დღეში, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით მიღებულია 200 კილოგრამით მეტი რძე. ეს იმის შედეგია, რომ პროტეინიანი ჯიშის ფურებს ამავე დროს წელს მეტი ყოთიანი საკვები გვაქვს მომარაგებული.

ალ. ხორავა,
ცხაკაიას რაიონის ნოსირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

საპროგრამო დოკუმენტი

საბჭოთა ხალხის ახალი პატრიოტული, პოლიტიკური აქტიურობის შესახებ მოგვითხრობს პარტიისა და მთავრობის წერილი „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის, შემოქმედებითი და შრომითი აქტივობის აღმავლობის მძლავრი სტიმული გახდა.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდა 7.033 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 5.465 ტონა, წელს კი ვალდებულება ვიკისრეთ დავაბოდოთ 7.200 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი მექანიზატორები. მარტო მანქანებით „საქართველოთი" და „ჩა-900"-ით ჩვენ ვამბრებთ მოვაკრეფთ 2.100 ტონაზე მეტი ნედლეული. ამ მიზნით შექმნილია 50 მექანიზებული რგოლი.

ლ. ჯაყელი,
მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მთავარი ინჟინერი. (საქინფორმი).

ალალი შრომით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს, „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ" ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის, შემოქმედებითი და შრომითი აქტივობის აღმავლობის მძლავრი სტიმული გახდა.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდა 7.033 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაშინ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" კიროვის სახელობის მეთაური ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ პრესაში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს ქვეყნის პარტიული, საბჭოთა სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, ყველა მშრომელისადმი. ქარხნის № 7 მექანიკურ საამქროს კოლექტივმა ამასთან დაკავშირებით ვალდებულება იკისრა ხუთწლედის მესამე წლის გეგმა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის შეასრულოს და ყოველთვიურად 9 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას.

სურათზე: საამქროს პარტბიუროს მდივნის მოადგილე, მოწინავე ხარატი ხ. მაკავარიანი მუშების ერთ ჯგუფს ესაუბრება ამ წერილზე.

ხ. ჟილაძის ფოტო.

ᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის რომ გავიცანი, დაკისრებული საქმისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი; ამ წერილში ზომ თვალნათლივ არის ასახული, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ 1978 წელს, მთელი მეათე ხუთწლედის განმავლობაში.

წერილში ხაზგასმულია, რომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გავამტკიცოთ მეცნიერების კავშირი პრაქტიკასთან, ყველგან უზრუნველვყოთ მეცნიერული ნაშრომების ინტენსიფიკაციის, პროგრესულობის, დიდმწარმოებლური მანქანების, უახლესი ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების დანერგვის სისტემების შექმნისაკენ, მიეგზავნოთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების უსწრაფეს დანერგვას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესი დავალების დროულად და მაღალ დონეზე შესრულებას.

აკადემიის სისტემის ყველა დაწესებულების უმთავრესი ამოცანაა გაზრდილ მეცნიერული აქტივის ეფექტიანობა და აამაღლოს მეცნიერებისათვის გაწეული ხარჯების უკოგება.

ქართველი მეცნიერები ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს ფუნდამენტური კვლევის შედეგები და დაჩქარდეს ტექნიკური პროგრესი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ს. ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული მთავრობის მიწვევით 16 იანვარს მოსკოვიდან ფხენიანში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უაზბეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ი. პელშემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, კ. ვ. რუსაკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ხოგელთა საბრძოლო ზღუდეები

პარტიის ხობის რაიკომის პლენუმზე

ხოგელები ფლეულს ნაცვლად შარშანდელი 37.5 ჰექტარისა ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერ სიმინდს მიიღებენ. 13.258 ტონის ნაცვლად აწარმოებენ 20.000 ტონას.

2.165 ტონის ნაცვლად — სახელმწიფოს მიჰყიდიან 2.600 ტონა ხორცს. 3.000 ტონა რძეს.

პლენუმის დაწყებამდე ჯერ კიდევ სამი საათი იყო დარჩენილი. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. კიკნაველიძემ, პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნადარაიამ გადაწყვეტეს პლენუმის დაწყებამდი დაეთვალიერებინათ ზოგიერთი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა იმ მიზნით, რომ გაეგოთ, თუ რა უჭირთ და რა ულონთნი იქ მომუშავეებს, რა აჭირდებათ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის..

ვეწვეთ პირველი მაისის, საჯიგაოს კოლმეურნეობების მეცხოველეობის გიერთიანებების, საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის რეგიონალურ ფერმებს და გაოსაზრდელ-გასასუქებელ ფერმებს, სოფელ ხამისკურის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გაოსაზრდელ სამეურნეობა თ მორისო ფერმას, ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელ ფერმას. შეეხვედით ფერმის თანამეცხეს და იმ ალიამიანებს, რომლებიც არაფერს აშურებენ იმისათვის, რომ გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ფერმაში შეეხვედით აგრეთვე მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანების მმართველს ნ. კარტოზიას. ზამთარია, მაგრამ ყველგან იგრძნობა ბეჯითი შრომა, მომვლელები პირუტყვს უხვენ და კომბინირებულ საკვებთან ერთად არ აკლებენ მწვანე მასას — ტალნიფსს.

პლენუმის დაწყების დროც მოახლოვდა. პარტიის ხობის რაიკომის პლენუმზე მოხსენება—„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შეფასება და პარტიის ხობის რაიონული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან“ — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნადარაიამ.

პლენუმზე მოისმინეს აგრეთვე პარტიის ხობის რაიკომის მდივნის გ. გვიჩიას ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის ბიუროს მიერ პლენუმებს შორის გაწეული მუშაობის თაობაზე.

პარტიის ხობის რაიკომის პლენუმის მონაწილეებმა მთლიანად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვაში ნამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. კორტოვამ, რაიონის საბალხო განათლების განყოფილების გამგემ შ. ხარებავამ, რაიონის პროკურორმა კ. შონინამ, სამეცოლიორაციო მექანიზაციის მეორე სამმართველოს მექანიკოსტალორემ ა. აბრამიამ, საბალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. თათარიშვილმა, მეცოლეობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მოიგანმა ა. ჭანდარიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ რაიონის ყველა საგეგმო დავალების წარმატებით შესრულებაზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ, აგრეთვე სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მზადებამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოდმიმა ზარონამ და დახმარებამ.

რაიონში მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობების დარგში. თავდადებული შრომის შედეგად საუბილო წელს სოფლის მეურნეობაში წარმოებულმა პროდუქტებმა ფულადი გამოსახულებით გეგმით გათვალისწინებული 15.272 ათასი მანეთის ნაცვლად 16.000 ათას მანეთს მიაღწია, ეს 1976 წელთან შედარებით 2.741 ათასი მანეთით მეტია.

საგრძნობი წინსვლაა მეცხოველეობაში: 2.005 ტონის ნაცვლად დამზადდა 2.346 ტონა ხორცი, 1.676 ტონის ნაცვლად 2.200 ტონა რძე.

პლენუმის მონაწილეებმა მიღწეულებთან ერთად ისიც აღნიშნეს, რომ არსებული რეზერვები და შესაძლებლობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს. მკაცრად გააკრიტიკეს იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იყენებენ შესაძლებლობებს, არსებულ რეზერვებს სახელმწიფო დავალებების შესრულების საქმეში.

პლენუმზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ საიუბილეო წელთან შედარებით მეათე ხუთწლედის მესამე წელს უფრო მეტი ახალი საბრძოლო ამოცანებია დასახული. წლევანდელი გეგმით სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 2.165 ტონა ხორცი, ვალდებულებით — 2.600 ტონა, გეგმა-ვალდებულებით 3.000 ტონა რძე, ასევე დიდი რაოდენობით მარცვლეული, კენტრესები, დოფნა და სხვ. აღინიშნა ისიც, რომ გეგმების პროექტის განხილვის დროს მეურნეობების, კოლმეურნეობისა და სხვა საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელები აყენებდნენ საკითხს, რომ რაც შეიძლება შეემცირებინათ გეგმები, ხოლო ვალდებულებები გადიდებინათ. ეს ამიტომ, რომ წლის ბოლოს თქვეს: — რაც მთავარია, გეგმა შეგასრულე, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის არავინ მომთხოვს პასუხსო. ეს არ არის საქმისადმი პრინციპული მიდგომა. პარტია და მთავრობა მოითხოვენ გეგმის პროექტის მაჩვენებლების არა შემცირებას, არამედ გადიდებას ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ამიტომ პლენუმზე წამოიჭრა ასეთი საკითხი: **1978 წლის გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს დაემატოს ვალდებულებით ნაკისრი ციფრები, ესე იგი ვალდებულება ცალკე კი არ იყოს, არამედ გეგმაში შევიდეს და ამით კანონის ძალა მიენიჭოს.**

პლენუმის წევრებმა ის ახალი ინიციატივა მოიწონეს და გადაწყვიტეს, რომ ვალდებულებები შეტანილ იქნას საწარმოო გეგმაში.

ხობელთა ამ კარგი ინიციატივის შესახებ აღინიშნა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ამას წინათ გამართულ სესიაზე, რომელზეც ითქვა, რომ 1978 წლის გეგმის პროექტის განხილვის დროს ხობის რაიონის ხელმძღვანელობა სრულიად სამართლიანად, ყველაზე განსხვავებით მოიქცა — ბოთბოლეა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმის გადიდება და არა შემცირება.

ხობელთა ასეთი პატრიოტული, ნამდვილად ყველასათვის მისაბაძი ინიციატივა, რომელიც რესპუბლიკაში პირველად იქმნა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოიწონეს და დაჰპირდნენ, რომ ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ხოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების საქმეში.

საინტერესოა აღნიშნულ ინიციატივას რომ კისრულობენ ხობელი მშრომელები, კიდევ რით და რა რეზერვებს ხაშუალებით აპირებენ შესრულებას?

ეი ეს რეზერვები და საშუალებებიც: პირუტყვის გამოსაზამთრებლად მომარაგებული აქვთ საკვები — ერთეულზე გაანგარიშებით 64.064 ცენტნერის ნაცვლად 107.135 ცენტნერი საკვები ერთეული, ე. ი. ერთი პირობითი სული პირუტყვისათვის დამზადებულია ათასლამეს ნენგბერი 27 ცენტნერი საკვები ერთეული.

წელს რაიონში ღორი იქნება 18.000 სული შარშანდელი 17.000 ნაცვლად, ტურნიფსი დათესილია 500 ჰექტარზე, შვრია — 1.500 ჰექტარზე. ესენი გამოიყენება მწვანე საკვებად და მისი აღების შემდეგ იმავე მიწაში დათესილება სიმინდი, სოია. ჭალადიდში შენდება კომბინირებული საკვები საამქრო, რომელიც ექსპლოატაციაში გადაეცემა წელს მაისში. მაისამდე საქართველოს სსრ ბელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ ათვისებულ იქნება 2.000 ჰექტარი მიწის ფართობი.

აქ ძირითადად დათესება პირუტყვის საკვები კულტურები, ამით დაახლოებით საკვებ ბაზას მწვანე მასის სახით წელსვე 100 ათასი ტონით გაზრდიან.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ნაიდაგის შიდა სახის დაშრობითი ქსელის სამუშაოები. შესრულდება სულ 5.712.000 კუბური მეტრი ნიწის სამუშაოები. ამით ექსპლოატაციაში გადაეცემა ათასობით ჰექტარი თესლი. აქ დათესება სიმინდი, სოია და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. წელს შესაძლებელი იქნება მარტო სიმინდი შარშან მიღებული 37,5 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კიკნაველიძემ.

ხობელი მშრომელები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ხობელებმა ეს ბიმართვა საპროგრამო დოკუმენტად გაიხადეს და გადაწყვეტილი აქვთ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, უფრო აქტიურად ჩაებან წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

შ. ჭოპუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ეს დღეები სოფლად

პარტიისა და მთავრობის მიმართვას ჩვენი ქვეყნის მშრომელებისადმი, რომ უკეთ ვიმუშაოთ 1978 წელს, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ გარდაბნის რაიონის ლილოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. მათ გადაწყვიტეს იმუშაონ დამკვრელურად და შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სხვა სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, მეცხოველეობის პროდუქტები.

სახელოსნოში არემონტებენ ტრაქტორებს, ხათეს მანქანებს, კულტივატორებს და სხვა ტექნიკას. სურათზე: ტრაქტორისტი ვ. ოქრუაშვილი, მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი ე. აბულაძე და ბრიგადირი მ. ფლიონაშვილი ხათესი მანქანის შეკეთების დროს.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

ფიგნის თარო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **ნ. ტყეშელაშვილის** ნაშრომი **„სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა“** (რედაქტორი პროფ. ი. ქობალია).

სარეცენზიო ნაშრომში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლურ დებულებებზე დაყრდნობით და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილების ორმა მეცნიერულად შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე განხილულია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საერთო კანონზომიერებანი და მათი გამოვლინების კონკრეტული ფორმები სოციალიზმის მშენებელ ცალკეულ ქვეყნებში, ნაჩვენებია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საერთაშორისო მნიშვნელობა. გაანალიზებული და განზოგადებულია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის გამოცდილება, დახასიათებულია განვითარებული სოციალიზმის სოციალურ-კონომიკური სტრუქტურა და ძირითადი ნიშნები, მოცემულია სოციალიზმზე გადასვლის შესახებ ზოგიერთი ანტიმარქსისტული კონცეფციის კრიტიკა.

ნაშრომში სოციალიზმის მშენებლობის პროცესი ისტორიულ ასპექტშია განხილული, ამიტომ თვი, ბუნებრივია, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის, ამ პერიოდში განხორციელებული სოციალისტური გარდაქმნების დახასიათებით იწყება. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი ობიექტურად აუცილებელი და ამდენად საყოველთაო მოვლენაა სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ეკონომიკური განვითარების მიდგომა სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის, ამ პერიოდში განხორციელებული სოციალისტური გარდაქმნების დახასიათებით იწყება. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი ობიექტურად აუცილებელი და ამდენად საყოველთაო მოვლენაა სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ეკონომიკური განვითარების დონე და ხასიათებელი და ამ დონეზე ეკონომიკური ფორმაცია ქმნის თავის ადეკვატურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. სოციალიზმის მშენებელ თითოეულ ქვეყანაში, კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად, სპეციფიკურად ისმება სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს სპეციფიკურობა, თითოეულმა ქვეყანამ უსათუოდ უნდა შექმნას და რაც ქმნების ისტორიული თავისებურებანი.

კაპიტალისტური წარმოების წესის სოციალისტური წარმოების წესით შეცვლამ შექმნა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობები სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონში, სოციალისტურ წარმოების მიზანსა და მისი განხორციელების საშუალებებზე, სოციალისტური წარმოების გაფართოებულ მოთხოვნილებებსა და ნაწარმოებ პროდუქტებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ბერკეტებზე, ეკონომიკურ სტიმულებზე, ეკონომიკურ ბალანსებზე, ეკონომიკურ ბერკეტ

საკდესი
იტყობინება

მსოფლიოს ამბები

აქტუალური ამოცანები

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საორგანიზაციო ხელიამ განსაზღვრა საბჭოს 1978 წლის მუშაობის პროგრამა და დასახა მისი ეფექტიანი შესრულების გზები. წელს ეკონომიკური და სოციალური საბჭო მთავარ ყურადღებას დაუთმობს ყველაზე აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა წვლილს შეიტანს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნაში.

ხელი შეეწყოთ დაძაბულობის შენელების გაღრმავებას

□

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარემ, ალიაიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დ. მილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის სფეროში მომხდარი პროგრესი ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელების გაღრმავებასა და გაფართოებას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ე. მ. მაკეევმა ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ყურადღების ცენტრში უნდა დარჩეს კვლავ თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის სამართლიან საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისა და განვითარების პრობლემები. ეს შეესაბამება თითოეული ხალხის ინტერესებს, მშვიდობისა და ხელთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ს. ვენსის გამოსვლა

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი გამოვიდა ლოს-ანჯელოსის საერთაშორისო საქმეთა საბჭოში და შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ პრინციპს.

მან ხაზი გაუსვა, რომ ომისა და მშვიდობის საკითხების გადაწყვეტა ყველაზე მეტად დამოკიდებულია საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაზე. ამასთან დაკავშირებით იმ მთავარ ამოცანებს შორის, რომლებიც 1978 წელს დგას შეერთებული შტატების წინაშე საგარეო პოლიტიკის დარგში, ს. ვენსმა დასახელა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჩვენს პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, თქვა მან, საფუძველად უდევს იმ ფაქტის რეალისტური გაგება, რომ ფრიად განსხვავდება ჩვენი მიზნებისაგან ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც რუსები ცდილობენ მსოფლიო გაერთიანებაში.

მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არის კონკრეტული პრობლემები, რომელთა მიმართ ჩვენი ინტერესები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, და ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ის გახლავთ, რომ აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ატომური ომი.

თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, თქვა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, შეერთებული შტატები მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან ბევრ საკითხზე. სსრ კავშირთან აქტიური დიალოგის ალტერნატივა იქნებოდა „ცივი ომის“ დროინდელი დაძაბულობისა და იზოლაციის დაბრუნება. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის ბევრ ხელმძღვანელს ახსოვს, როგორი იყო ის პერიოდი, თქვა ს. ვენსმა. ჩვენ სუფთა სინდისით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არ გვინდა იმდროინდელი უბედურება და შიში დავაბრუნოთ ქვეყანაში.

მიუხედავად ამისა სახელმწიფო მდივანმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოტენციალის შემდგომ გადიდებას.

გმობენ ხუნტის ტერორს

სტოკჰოლმი. (საკდესი). შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარინ სედერმა მკვეთრად დაგმო ჩილეს მმართველი ფაშისტური ხუნტის ტერორი. ჩილეში მოხდარ ახალ დაპატიმრებებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ულმობლობა და თვითნებობა იყო ჩილეს სამხედრო ხუნტის დამახასიათებელი ნიშნები მისი მართვა-გამგეობის დაწყებისთანავე. ამასწინანდელი დაპატიმრებანი ხუნტის სისუსტის კიდევ ერთი დადასტურებაა.

იტალია: მთავრობა გადადგა

რომი, 16 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. მალიშევი გვატყობინებს: იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ანდრეოტიმ მთავრობის სხდომის შემდეგ დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯ. ლეონეს გადასცა განცხადება მისი კაბინეტის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტი დაეთანხმა გადადგომას.

იტალიაში ფაშიზმის დამხობის შემდეგ მთავრობის 39-ე კრიზისის დაწყების მიზეზი ქრისტიან დემოკრატთა ერთპარტიული კაბინეტის პოლიტიკის მარცხი გახლავთ. ანდრეოტის მთავრობამ, რომელიც თითქმის წლინახევრის განმავლობაში ედგა ხელისუფლებას ხათავეში, ვერ დაძლია ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რომელსაც იტალიის საზოგადოება განიცდის. ამრიგად, შეიქმნა წინააღმდეგობა შარშან ზაფხულში ექვსი ანტიფაშისტური პარტიის მიერ მიღებულ პროგრამასა და იმას შორის, რომ ეს პროგრამა უნდა შეესრულებინა ქრისტიან დემოკრატთა ერთპარტიულ მთავრობას, რომელმაც თავი ვერ გაართვა ამ ამოცანას.

იმის გამო, რომ მმართველ კაბინეტს უნარი არ შესწევდა დამოუკიდებლად დაეძლია კრიზისი, კომუნისტებმა და სოციალისტებმა მოითხოვეს შეექმნათ მთავრობა მთელი დემოკრატიული ძალების წარმომადგენლების, მათ შორის კომუნისტების მონაწილეობით. რესპუბლიკურმა პარტიამაც განაცხადა, რომ საჭირო იყო ცვლილებანი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში.

ქრისტიანმა დემოკრატებმა უარი თქვეს დადებითი პასუხი გაეცათ ამ მოთხოვნებზე და ამიტომ ანდრეოტის მთავრობა, რომელსაც საჭირო უმრავლესობა არ ჰყავდა პარლამენტში, იძულებული გახდა გადამდგარიყო.

მთავრობის ახლანდელი კრიზისი იტალიისათვის რთულ მომენტში დაიწყო. მმართველი წრეები ცდილობენ გაამწვავონ ვითარება, გამძაფრონ სახელმწიფოს პოლიტიკური ძალების ურთიერთობა, ცდილობენ მოაწყონ ვადამდელი არჩევნები, რომელიც, პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, დიდი ზნით მოადუნებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ბრძოლის აპვანგარდში

ლიმა, 16 იანვარი. (საკდესი). ამა წლის ივნისისათვის გათვალისწინებულ დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა პერუს კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც შეაგროვა კანონის შესაბამისად რეგისტრაციისათვის საჭირო 40 ათასზე მეტი ხელმოწერა. ეს განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე პერუს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხორხე დელ პრადომ. ხელმოწერის შეგროვების კამპანიის წარმატებული შედეგები მოწმობენ, თქვა მან, რომ იზრდება პერუელ კომუნისტთა ავტორიტეტი მშრომელ მასებში.

ნეიტრონული სიკვდილის წინააღმდეგ

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გმობს

კოპენჰაგენი. ნეიტრონული ბომბი ყველაზე არაადამიანური იარაღია, რადგან იგი პირველ რიგში მიზნად ისახავს ქვეყნად სიცოცხლის მოსპობას, განაცხადა დანიის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის თანამშრომლობის კომიტეტის ადასტყობის წევრმა ა. შერნინგმა. ამ ახალი სახეობის ატომურ იარაღში შერწყმულია მხსვილი კაპიტალისათვის დამახასიათებელი კაცთმოძულეობის თვისებები, რომელიც არაფრად აგდებს ადამიანთა ტანჯვას.

სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მეოხებით, ხაზი გაუსვა ა. შერნინგმა, პლანეტის ხალხებს მიეცათ იმედი თავიდან აეცილებინათ ატომური კატასტროფა, ბოლო მოეღოთ გამალებული შეიარაღებისათვის. ლონინდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, რომ ახლა ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა. დანიის მშვიდობის მომხრენი მთლიანად და სავსებით ეთანხმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ამ დასკვნას.

სოფია. ნატოს შტაბში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ნეიტრონული ბომბის განლაგების საკითხის განხილვა მოწმობს, რომ ნატოს კურსი კვლავ აგრესიული რჩება, ხაზს უსვამს გაზეთი „რაბოჩრნნინ-ბო დელო“. ნატოს სტრატეგები, რომელნიც ქადაგებენ ატომური იარაღის ახალი სახეობის განვითარებას, მიზნად ისახავენ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას, უნდობლობისა და ეჭვის ელემენტი შეიტანონ საერთაშორისო ურთიერთობაში. მათი მისწრაფება — შეიარაღდნენ ნეიტრონული ბომბით, მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობისა და საერთაშორისო სამართლის აბუჩად აგდებაა.

ბერლინი. ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა ეს არის ბრძოლა გამალებული შეიარაღების ესკალაციის წინააღმდეგ, რომელსაც ესწრაფვიან დაძაბულობის შენელების საქმისადმი მტრული ნატოს წრეები, წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველკვირეული „ კორიზონტი“. ის, ვისაც სინამდვილეში სურს რეგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო დაძაბულობის შენელება, მხარს ვერ დაუჭერს სამხედრო ისტერიის ბარბაროსულ პროდუქტს — ნეიტრონულ ბომბს. ბარბაროსულია არა მარტო ბრძოლის ველზე ნეიტრონული ბომბის გამოყენებისაგან მიღებული შედეგები, არამედ მისი შექმნის თვით გეგმებიც. ნეიტრონული ბომბი უაღრესად საშიშია მშვიდობისა და უშიშროებისათვის. დაძაბულობის შენელებისა და ჯანიარაღებისათვის.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების წინააღმდეგ — დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება და განლაგოს იგი დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ვალტერ ფაბიანმა. ნეიტრონული იარაღი მხოლოდ და მხოლოდ აგრესიული პოლიტიკის მიზნებს ემსახურება, მისი წარმოება კიდევ უფრო აკითარებს და ახალ, უფრო საშიშ საფრხეზე აყენებს გამალებულ შეიარაღებას.

ეს ზრდის ადამიანთა სიცოცხლის საფრთხეს, უწინარეს ყოვლისა ევროპაში.

შეერთებულ შტატებს შეუძლია ნეიტრონული ბომბის წარმოებას შეუდგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს თანხმობას, რომ განლაგოს იგი დასავლეთ ევროპაში, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხაზი გაუსვა გ. ფაბიანმა.

ასეთ ვითარებაში, ხაზი გაუსვა ვ. ფაბიანმა, საჭიროა ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ საბრძოლველად დავრაზმოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ყველა მოქალაქე.

(საკდესი).

კარიკატურისტის კომენტარი

ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა დაიწყოს ნეიტრონული ბომბის წარმოება, სრულიადაც არ შეესაბამება ამერიკის მთავრობის მიერ გაჩალებულ „ადამიანის უფლებათა დაცვის“ კამპანიას. იგი ეწინააღმდეგება აგრეთვე ჰელსინკის თათბირის მიზნებსა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. (გაზეთებიდან).



ამერიკული ქადაგება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

ნახატი ყოველკვირეულ „კორიზონტიდან“.

იარაღიან შრომის უფლებისათვის

ბერლინის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს ქვეყანაში ადამიანთა უფლებების შეღალვის წინააღმდეგ, რაც სხვადასხვა მოაზროვნეთა პოლიტიკური დევნით გამოიხატება. ეგრეთწოდებული „პროფესიათა აკრძალვის“ მსხვერპლი გახდა ოთხი ათასი დასავლეთგერმანელი დემოკრატი. მათ შორის არიან კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები, პროფკავშირული აქტივისტები, ანტიფაშისტები, რომელთა მსოფლმხედველობა ხელს არ აძლევს მდიდართა ხელისუფლებას.

სურათზე: მიუნხენში გამართული საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა პლაკატებზე წარწერილია იმათი სახელები, ვინც ამ დრაკონული პრაქტიკის შედეგად მოკლებულია სპეციალობის მიხედვით სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას.

საკდესის ფოტო.

საერთაშორისო მიმოხილვა

1. ვინ არის დაინტერესებული კონფლიქტით

ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კამპუჩიის ურთიერთობა. 1975 წელს დაწყებული სასაზღვრო ინციდენტები მომდინარე წლის დამდეგს სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებებად გადაიქცა, რომლებსაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხარისათვის. კამპუჩიამ დროებით გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ვიეტნამთან.

რამ გამოიწვია კონფლიქტი? მრავალი თაობის მანძილზე კამპუჩიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სასაზღვრო რაიონებში, ნახევარ მილიონამდე ვიეტნამელი ცხოვრობდა. ბევრი მათგანი უაღრესად აქტიურად მონაწილეობდა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგ კამპუჩიელი ხალხის ბრძოლაში.

სასაზღვრო ინციდენტები აღარ განმეორებულა მალე მას შემდეგ, რაც კამპუჩიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. დაიწყო ვიეტნამელების აყრა მიწებიდან, რომლებზეც ისინი ოდითგანვე ცხოვრობდნენ. ბევრი მათგანი დახოცეს, სხვების ბედი დღემდე გაურკვეველია.

კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ მოუწესრიგებელია კოლონიური პერიოდისგან მემკვიდრეობად დარჩენილი ორი ქვეყნის საზღვრის საკითხი, და კამპუჩია უარს ამბობს ამ საკითხის მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყვეტაზე.

მაგრამ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კამპუჩიის ურთიერთობის პრობლემა საასაზღვრო დიდით არ შეპოფერგლება, რა მწვავეც და რთულიც უნდა იყოს იგი. მოვლენათა უკან აშკარად დგას პეკინი, რომელიც ყოველნაირად აქეზებს კამპუჩიის ხელისუფალთ კონფლიქტის გასამწვავებლად და ყოველმხრივ მხარდაჭერას უწევს მათ. ბევრი მონაკვეთი მოწმობს, რომ ჩინელი სამხედრო მოსამსახურეები აშკარად მონაწილეობენ კონფლიქტში კამპუჩიის ჯარების მხარეზე. საზღვარგარეთის პრესის ცნობით კი, კამპუჩიელ სამხედრო ტყვეთა შორის იყვნენ ჩინელი სამხედრო მრჩევლები, თანაც პეკინში არც კი უცდიათ უარყოთ ეს ცნობები.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და კამპუჩიის კონფლიქტში ჩინეთის პროვოკაციული როლი ის ჰეგემონისტურ პოლიტიკას გამოხატავს, რომელსაც პეკინის ხელმძღვანელობა ადგას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ეს პეკინის ერთ-ერთი აქციაა იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ასეთი მოლაპარაკება.

კონფლიქტის განგრძობა მხოლოდ ორი მეზობელი ქვეყნის მტრების ინტერესებს შეესაბამება.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

□

კერძო საწარმოთა ნაციონალიზაცია

● მაპუტუ. სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა მშენებლობის სფეროში მოქმედი ორი მსხვილი კომპანია. ამ საწარმოთა ყოფილი მფლობელები მხილებულ არიან ეკონომიკურ საბოტაჟსა და სავალუტო მაქინაციებში.

ბოლო ხანს მოზამბიკის მთავრობა ახორციელებს იმ კერძო საწარმოთა ფართო ნაციონალიზაციას, რომელთა მფლობელები ხელს უშლიან რესპუბლიკის ეკონომიკურ პროგრესს.

გარემოს გაჭუჭყიანების შედეგი

● ტოკიო. იაპონელმა მეცადურებმა, რომლებიც ოსაკის ყურეში თევზაობენ, ბოლო ხანს შეამჩნიეს, რომ დაჭერილი თევზებს შორის სულ უფრო ხშირია მახინჯი ფორმის თევზები. კვლევის 80 პროცენტზე მეტს, ბევრ ღორჯოს აქვთ გამრუდებული ხერხემალი, ძვლების უჩვეულო აღნაგობა.

იაპონელ მეცნიერთა აზრით, თევზების დეფორმაციის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ზღვის წყლები ძლიერ არის გაჯუჯყიანებული სამრეწველო წარმოების ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით.

დასაქმების დასაცავად

● ბრიუსელი. ბელგიის ქალაქ ლიეჟში გაიმართა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია დასაქმების დასაცავად. ბელგიის შრომის საყოველთაო ფედერაციის ადგილობრივი განყოფილების მოწოდებით ლიეჟის ქუჩებში გამოვიდა 2 ათასზე მეტი კაცი. მშრომელებმა მოითხოვეს, რომ ხელისუფლებმა და მეწარმეებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მასობრივი დათხოვნები, უზრუნველყონ დასაქმება და სამუშაოზე აღადგინონ ყველა დათხოვილი.

საჰირა ერთიანობა

● დარ-ეს-სალამი. ტანზანიის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ა. ჯუმბემ მოუწოდა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს მხარდაჭერა გაუძღიერონ განმათავისუფლებელ მოძრაობებს და გაერთიანდნენ კონტინენტის ეკონომიკური და კულტურული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. თავისუფალი აფრიკის ამოცანა ის არის, განაცხადა მან ზანზიბარში რევოლუციის მე-14 წლისთავის გამო გამოსვლისას, რომ ერთობლივი ღონისძიებებით დავაჩქაროთ განთავისუფლებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების გაძარჯვება.

ო. ე. ლორთქიფანიძე



ეროვნული ლიტერატურის ბიბლიოთეკა

ეროვნული ლიტერატურის ბატონისცემა-მოუბეზეშა.

1924 წელს ო. ლორთქიფანიძე საბჭოთა ხელისუფლებამ გაგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც წარმატებით დამთავრა 1970 წელს. სწავლის წლებში შეძენილი ცოდნა, მტკიცე იდეური წრთობა დაეხმარა მას კიდევ უფრო ღრმად, კიდევ უფრო გულმოდგინედ ემსახურა საყვარელი საქმისათვის — ეროვნალისტიკისათვის.

1973 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორად და ამრიგად გაიარა გზა კორესპონდენტიდან რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთის ხელმძღვანელამდე.

რედაქტორის პოსტზე სრულად გამოვლინდა ო. ლორთქიფანიძის როგორც კარგი ორგანიზატორის, გულსასმენერი ხელმძღვანელის ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით ეს გაზეთი გახდა რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნამდვილი მეგობარი და მრჩეველი, საქართველოს კომკავშირის მებრძოლი რუპორი.

როგორც გაზეთის რედაქტორი და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ო. ლორთქიფანიძე აქტიურად მუშაობდა, რათა დაეჩაზმა ახალგაზრდობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, აემაღლებინა კომკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობა, გაედიდებინა მათი ქმედითი მონაწილეობა რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებში.

იგი შესანიშნავად გრძნობდა დროის მაჯისცემას, განუხრელად ახორციელებდა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის შესახებ პარტიის მოთხოვნებს და ახალგაზრდულ პრესაში ბევრი საინტერესო საქმის წამომწყები იყო, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

რედაქტორის პასუხსაგებ მუშაობასთან ერთად ო. ლორთქიფანიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტსა და ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. დღენიადაგ ზრუნავდა იმისათვის, რომ ეროვნალისტიკაში მოსულიყო ნიჭიერი ახალგაზრდობის ახალი ცვლა, რომელიც ღირსეულად გაგრძელებს ქართული საბჭოთა პრესის საუკეთესო ტრადიციებს.

ო. ლორთქიფანიძე არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და რესპუბლიკის ალკკ XXX ყრილობის დელეგატად.

მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია, მთელი თავისი ნიჭი ო. ლორთქიფანიძემ მთლიანად ახალგაზრდობას, გაზეთს, სიკეთისა და სიმართლის სამსახურს შეალია. მისი ცხოვრება პარტიისა და ხალხის საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. პასტუხოვი, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ე. კ. შარტავა, ა. პ. დერევიანკო, ლ. კ. კორნეშოვი, ვ. პ. გროშევი, გ. ვ. ბედინეიშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ი. ნ. ორჯონიკიძე, მ. ა. ასლანიკაშვილი, ვ. ი. კადენეცი, მ. ნ. ფაჩუაშვილი, ჯ. ა. ნინუა, ვ. გ. ანასტასიადი.

დათვალიერების გამარჯვებულნი

საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა საქართველოს საწარმოებში, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში სტანდარტიზაციისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების უკეთ ორგანიზაციისათვის მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერება — 77-ის შედეგები.

პირველი ადგილი და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას, პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის — „კოლხეთის“, აგრეთვე 47 სახელმწიფო სტანდარტისა და 59 დარგობრივი სტანდარტის საფუძველზე ქარხნის ნორმატულ-ტექნიკური კომპლექსის შემუშავებისა და დანერგვისათვის შექმნილია და პრაქტიკულად იყენებენ საწარმოს 20 სტანდარტს. ეს სამუშაოები ქარხნის კოლექტივს დაეხმარა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა წარმოების ტექნოლოგია.

მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ ქარხანა „მიკროძრავას“ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივებს.

მესამე ადგილი და მესამე პრემიები მოიპოვეს ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებამ, ამიერკავკასიის უნივერსალური ასაწყობი სამაჯენების და აღმურვილობის დანერგვის ტერიტორიულმა სამსახურმა, თბილისის დონორიბა-შეფუთვის ავტომატების სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო- საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა, ქარხანა „სოხუმხელსაწყომ“.

დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისა და სტანდარტიზაციისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების დარგში დიდი წარმატებებისათვის რესპუბლიკის საშეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სიბატონ სიგელით დაჯილდოვდნენ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სამენ მასალათა და შამპანური ღვინოების კომბინატები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი. (საქინფორმი).

ქურნალ „საგჭოთა სამართლის“ მკითხველთა კონფერენცია

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა კონფერენცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კობახიძემ მიმოიხილა ჟურნალის ნომრები, გამოთქვა შენიშვნები და სურვილები მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. ღუღუნიშვილი, თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ქვანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ი. სურგულაძე, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. წიქორიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საშეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ადვოკატი ა. ხოფოლავა, ადვოკატი ნ. დგებუაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. კალაძე.

ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ო. კაციტაძემ მაღლობა გადაიხადა საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებისათვის, უპასუხა მკითხველთა კითხვებზე.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ტყეშელიაძემ.

(საქინფორმი).

საქართველოს ქმა-ბარი

სკოლას შეფობს ინსტიტუტი

სილნაღი. (საკ. კორ.). სოფელ მაღაროს სოლომონ დოდაშვილის სახელობის საშუალო სკოლას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი ეწვია. მათი მიზანია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, მასწავლებლებს სათანადო კონსულტაცია და დახმარება გაუწიონ პროგრამით გათვალისწინებული რთული მათემატიკური საკითხების ათვისებაში.

ახალი პროგრამის შესწავლის მეთოდიკასა და პრობლემურ კითხვა-ამოცანებზე მეათეკლასელ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ესაუბრნენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები. თ. ვეფხვაძე, რ. ნადირაძე, მ. გვარაძე, ლ. სუჯლაქვილიძე, ზ. აქბარიდა და გ. ჯანიკაშვილი. ისინი, სპეციალური გეგმის მიხედვით, მომავალშიც განაგრძობენ ამ სასარგებლო შეფობას.

იხარე ჭერო!

ახალმოსახლეობა

ზუგდიდი. ახლახან ქალაქში 54-ბინიანი, მეორე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოიმართა.

ახალმოსახლეობა იზეიმეს ფაიფურის ქარხნის მუშებმა რ. ავალიანის, გ. ბალანძინიმ, ზ. ლაშხმა და სხვებმა.

ბ. ალშიბაია.

□

ქუთაისი. (საკ. კორ.). გასულ წელს მარტო სახლმშენებელი კომბინატის მშენებლებმა ააგეს და ქალაქის მცრომეულებს გადასცეს 52 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის 14 ახალი საცხოვრებელი სახლი. მათ შორის 11 ცხრასართულიანი, ხოლო სამი—ხუთსართულიანი. ახალმოსახლეობა იზეიმა ასობით ოჯახმა.

დ. გედენიძე.

ფართო გზა ტურიზმს

ცხინვალი. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მრავალი ტურისტი ჩამოდის სამხრეთ ოსეთის დასაცნობად. შარშან ჯავის რაიონში გაიხსნა ტურისტული ბანაკი და ახალგაზრდული საკავშირო ბანაკი. წილს ცხინვალში მოგზაურობის მოყვარულები მიიღებენ ახალ ტურისტულ ბაზას.

მშენებლებმა უკვე ხარაჩოები ჩამოხსნეს სძალი კორპუსს, მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები. „საქკორორმაშენ ი“ ცხინვალის სამშენებლო უბნის მშენებლები გულდაგულ შრომობენ, რომ ნაკეთბა ბკვიდრი და ლამაზი იყოს, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მალე დონეზე შესრულდეს.

გ. თედეევი.

ექიმთა ბრიგადა სოფლად

მაიაკოვსკი. ამ დღეებში რაიონის ექიმთა ბრიგადა მაღალმთიან სოფელ ხანს ეწვია.

ბრიგადის წევრებმა გულდასმით შეისწავლეს სოფლის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. იყვნენ სკოლაში, დათვალიერეს მედპუნქტი. მშრომელებისათვის მოაწყვეს კონსულტაციები და ლექციები.

ვ. სახვაძე.

დმანისი ჭრილოგეგს იშუშეგს

რეპორტაჟი მიწისძვრის რაიონიდან

იმ დილას დაიწყო სამუშაო კვირაც და წელიწადიც.

პარტიის დმანისის რაიკომის ბიურო მორიგი პლენუმის მოწვევაზე მსჯელობდა.

საშუალო სკოლის შენობაში მოჩახჩახე ნაძვის ხის გარშემო ბავშვები მღეროდნენ და მხიარულობდნენ.

ყველა თავის სამუშაო უბანზე იყო.

უცებ სოფლის ძალლებმა თითქმის ერთდროულად ატეხეს ყეფა. გაფფრებით ყეფდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ოთახებში მყოფი, ღუმელებს მიფიცხებული კატები კარ-ფანჯრებს მიაცხრნენ და კარში გაჭრას ლამობდნენ.

შიწდის მთის ძირში შეფენილი სოფლის — ყიზილკლისის მცხოვრები რუსტამ მანსუროვი წყალზე წასულიყო. მილიდან წყალმა უჩვეულო სიუხვით გადმოჩქეფა და... ჭურჭელი ნავთობმა აავსო.

ყრუ გუგუნი გაისმა. თითქოს შორს სადღაც ასობით თვითმფრინავის მოტორი ჩართესო. და ეს გუგუნი მიწის სიღრმიდან მოდიოდა.

და, უცებ შეირყა მიწა, ჯერ რამდენჯერმე მაღლა შეხტა, თითქოს ვიღაცამ დაბლიდან მუჯლუგუნი ამოკრა, მერე კი აქეთ-იქით გადაქან-გადმოქანდა.

სალამალექელ სამი წლის ჯეიბურ ნაბიევს კედლის გასწვრივ მდგარ რკინის საწოლზე ეძინა. ბიჭი იატაკზე გადმოვარდა, მერე თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა, საწოლის რკინის ბადის ქვეშ შეგორდა და... კედელიც გადმოწვა. ეზოდან შინ შემოვარდნილ შეშინებულ დედას ნანგრევებმიყრილი საწოლის ქვეშდან ბიჭის გაგულისებული ხმა შემოესმა — ამ ქვებს ვინ მეხვრახო.

ამ ქვებს დედამიწა ისროდა.

ფეხზე დადგა დიდპატრიოტად ქარში გამოსული დმანისი და რაიონის ყველა სოფელი. იმ წუთებშივე ფეხზე დადგა თბილისი, მთელი რესპუბლიკა, შეიქმნა მთავრობის კომისია, რომელიც მაშინვე ადგილზე გაეცნო მდგომარეობას და დახახა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის კონკრეტული და ოპერატიული ღონისძიებები.

ასეთ მანქანათმრავლობას არახდროს მოსწრებია დმანისისაკენ მიმავალი შარაგზა. პირველი დღიდანვე გაუთავებელ ნაკადად მიედინებიან ხურსათით, კარვებით, სამრეწველო საქონლით, საშინი მასალებით დატვირთული მანქანები. სოფლებში ჩამოდგნენ მოძრავი ავტოფარდულები. ყველაზე უფრო დაზარალებული სოფლების — ქვემო და ზემო ყარაბულაღის, დაღარუნლოს, გიუდაქდაღის და სხვათა მცხოვრებლებს უსასყიდლოდ ეძლეოდათ საჭმელი. ამავე სოფლებიდან ავტობუსებს გამოჰყავდათ ავადმყოფები და ბავშვები. თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატმა შეიფარა გიუდაქდაღელი მოსწავლეები, სასწაულებრივად გადარჩენილ ზემო ყარაბულაღის სკოლა-ინტერნატში განაგრძობენ სწავლას ქვემო ყარაბულაღის, სეინჯანის, ხალამალექის სკოლების მოსწავლეები. მათ ყოველდღიურად სამჯერ კვებავენ სახელმწიფოს ხარჯზე. ბევრი დმანისელი ბავშვი ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობს რესპუბლიკის პროფკავშირების პიონერთა ბანაკებში.

მძიმე ავადმყოფები ბოლნისსა და მარნეულში გადაიყვანეს. თვით ბოლნისის 100-საწოლიანი რაიონული საავადმყოფო მთლიანად დაინგრა. ახლა ამ ტერიტორიას ნანგრევებისაგან წმენდენ და გათბობისთანავე დაიწყება 320-საწოლიანი კეთილმოწყობილი საავადმყოფოს შენება.

რაიონის სოფლებში დარჩენილ ყოველ 2-3 ავადმყოფზე თითო ექიმია გამოყოფილი და ისინი მათ ბინებში უტარებენ სტაციონალურ მკურნალობას.

დმანისის სოფლებში მიწისძვრის პირველ დღესვე გაიშალა მწვანე კარვები.

გიუდაქდაღში — ამბობს პარტიის რაიკომის მდივანი ალიხან სულეიმანოვი, საღამოს 6 საათიდან ღამის 3 საათამდე პროფკავშირების შუქზე საბჭოთა არმიის ჯარისკაცებთან ერთად 9 კარავი დავდგით და ორ-ორ „ოთახიან“ კარვებში 18 ოჯახი დავაბინავეთ.

რაიონის სოფლებში უკვე 402 კარავია მოტანილი. მათი დიდი ნაწილი ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობამ გაგზავნა. უსახლკაროდ დარჩენილები შეესახლდნენ აგრეთვე 93 საცხოვრებელ ვაგონში. მათ ეს ვაგონები მიიღეს თბილისიდან, გაგრიდან, ზუგდიდიდან, რუსთავიდან, პერმიდან, სტავროპოლიდან, გორკიდან.

იღებენ ფინურ სახლებსაც. დმანისელებისათვის 1.000 ფინური სახლია შეკვეთილი.

დმანისის დანგრეულ სოფლებზე შეფობა იკისრეს თბილისის ყველა რაიონმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, სხვადასხვა სამინისტრომ, საწარმომ, ორგანიზაციამ.

რუსთაველმა მეტალურგებმა სოფელ ბახჩილარში 30 მშენებელი გამოგზავნეს. ისინი ღამეს მათ მიერ აღდგენილ სახლებშივე ათევენ, დილიდან საღამომდე კი სოფლის სკოლის შენობის აგებაზე მუშაობენ. უკვე პირველი სართული ამოიყვანეს და 1 თებერვლისათვის ფიქრობენ სოფელს გადასცენ მეტალურგიული ქარხნის სახსრებით აგებული ეს სკოლა. ამავე მშენებლობებმა ბახშილარელ ბავშვებს უხვად ჩამოუტანეს საბალნწლო საჩუქრები.

თბილისის კიროვის სახელობის რაიონმა დმანისში ათ დღეში ააგო ხის ორსართულიანი ასაწყობი სახლი 22 ოთახით. ასეთივე სახლს აგებს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი.

თბილისის ყველა რაიონიდან მოვიდნენ მშენებლები თავიანთი ტექნიკითა და საშენი მასალებით.

სოხუმიდან 39-კაციანი სამშენებლო ბრიგადა ჩამოვიდა.

ქუთაისელები კეთილმოაწყობენ რაიონული ცენტრს და გაიყვანენ ღამის განათებას.

ყველა სოფელში არიან რესპუბლიკის სამინისტროების წარმომადგენლები. ისინი თავიანთი დარგების მიხედვით გეგმავენ გასაკეთებელ საქმეს.

თბილისიდან და რკინიგზის კაზრეთის ხადგურიდან დაუსრულებლად მოდის საშენი მასალა, რისთვისაც საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ასობით მანქანა გამოყო, ხოლო რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა სპეციალური სამუშაო ბრიგადები შექმნეს.

სასახელოდ შრომობენ ვაჭრობის მუშაკებიც.

ვფურცლავ ამ დღეებში შექმნილი სამრეწველო საქონლითა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების რაიონული სამსახურის ხელმძღვანელის ვ. უურბანოვის უურნალს. მარტო ერთი კვირის განმავლობაში დმანისელებს მიეღიათ 426 ტონა ფქვილი, 33 ტონა ხორცი, 49 ტონა კარაქი, 36 ტონა მარგარინი, 30 ათასი ქილა კონსერვი, 120 ტონა შაქარი, 20,5 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 200 ტონა კომბინირებული საკვები და ყველაფერი, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭომ ადგილებზე გაგზავნა პირველი საჭიროების პროდუქტების 5000 პაკეტი, რომლებიც მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა.

მიწისძვრით დაზარალებულებს მიეცათ ერთდროული დახმარება 16 მილიონი მანეთის ოდენობით. მათს დასახმარებლად 40 000 მანეთი გაიღო წითელი ჯვრის ორგანიზაციამ. გამოყოფილია დიდძალი გრძელვადიანი კრედიტი ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

სოფელ დაღარახლოში ავდივართ. მე მინახავს მიწისძვრისაგან დანგრეული ტაშკენტის უბნები და მის ქუჩებში — გაშენებული კარვების ქალაქი. მაშინ ზაფხული იყო, ადვილად მოსათმენ-გადასატანი. ახლა კი ზამთარია, მიწაზე სქელი თოვლი დევს. მზეა და მაინც ყინავს, ღამით რაღა იქნება!

თითქმის ყველა სახლი დანგრეულია სოფლის ქვემო ნაწილში და ვერც კედლებდარჩენეულ სახლებს ენობი ღამის გასათევად, და ამ სახლების ქვეშ გადის თოხლუს ფერდობიდან დაწყებული კილომეტრნახევრიანი სიგრძის მიწის ბზარი, რომლის სიგანეც ალაგ-ალაგ 15-20 სანტიმეტრს აღწევს. როგორც თქვეს, ამ ნაბარალს სიღრმეც გაუზომავთ და აღმოჩენილა... 340 მეტრი.

ამ ნაბარალს გვიჩვენებს ხ. მ. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დაღარახლის სამმართველოს უფროსი ისლამ მამედოვი.

— ჩვენს სოფელს აქ აღარ დაედგომება, — გვეუბნება ისლამი, — გული გვტკივა, მაგრამ, რას ვიზამთ. გვჯერა, რომ უფრო ლამაზ და მკვიდრ სოფელს ავაშენებთ ახალ ადგილას.

და მიუხედავად იმისა, რომ აქ ქვესკნელი ჯერ კიდევ მთლიანად არ დამცხრალა და კანტიკუნტად ხეორდება მისი უკვე მისუსტებული რუკვა, ყველა დმანისელი დიდი ოპტიმიზმით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს — მთ მხარში უდგანან მთელი ხალხი, მთელი რესპუბლიკა. მათზე მშობლიურად ზრუნავენ პარტია და მთავრობა. და ამ ზრუნვის ერთ-ერთი დასტური იყო ამ დღეებში დმანისში გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომა, რომელმაც კონკრეტული, ეფექტური ღონისძიებები დასახა, რათა დმანისმა, რაც შეიძლება მალე მოიშუშოს ხტიერი უბედურებით მოყენებული ჭრილობები.

თ. ჯანგულაშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

15 იანვარი, 1978. დმანისი.

საბჭოთა ქართველ ალპინისტთა ექსპედიციის

შვილი ჯარში მსახურობს

თბილისი, ლილი და სერგო ინდუაშვილებს

პატივცემულო ამხანაგებო! თქვენი შვილი გია ჩვენი სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი წარჩინებული მებრძოლია. მან თავი გამოიჩინა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში დავალების უნაკლო შესრულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ გიამ წარმატებით გაანალიზა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და ნაწილის მეთაურთა შემადგენლობის მადლობა, წამახალისებელი ჯილდო დაიმსახურა.

მადლობა თქვენ, გიას მშობლებო, საშობლოს ერთგული ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის.

ა. საბალაში — სამხედრო ნაწილის მეთაური; ბ. ბრიგორიევი — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

მახარაძე, იამზე ვოლოშინას

სამხედრო ნაწილი, სადაც სამშობლოს წინაშე მოვალეობას იხდის თქვენი შვილი ავთანდილი, წარმატებით იბრძვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განსაღდებლად. ავთანდილი ამ პატრიოტული საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა და მუდამ მოწინავეთა რიგებში დგას. იგი კეთილსინდისიერად ასრულებს მეთაურთა დავალებას, სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, ამხანაგებში ხარგებლობს სიყვარულით, პატივისცემით.

ავთანდილის დავაუკაცებაში დიდია თქვენი ღვაწლი. მადლობა ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს ცხოვრებაში.

პ. ბლინოვი — სამხედრო ნაწილის მეთაური, ბ. სოტნიჩენკო — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

თბილისი, გივი ფრანგიშვილს

თქვენი შვილი გიორგი ჩვენს სამხედრო ნაწილში ჯარისკაცად მსახურობს, იგი მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული ახალგაზრდაა. ნაწილმა, რომელშიც თქვენი შვილი იმყოფება, სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში პირველი ადგილი მოიპოვა, ამაში თქვენი შვილის წვლილიც არის.

მადლობას გიძღვნით სამშობლოს ერთგული ჯარისკაცის აღზრდისათვის.

ა. სამოხვალოვი, სამხედრო ნაწილის მეთაური.

თბილისი, ილია და თამარ თაქთაქიშვილებს

ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა მადლობას გიხდით იმ შრომის გაწევისათვის, რომელიც თქვენი შვილის პატიოსნად აღზრდას მოახმარეთ. გოდერძი გმირ მებრძოლთა ღირსეული მემკვიდრეა. იგი სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, ბრწყინვალე სპეციალისტი და მშვენიერი სპორტსმენია. ახალ-ახალი წარმატებებისათვის იგი ბევრი წამახალისებელი ჯილდოთა მკერდდამშვენებული.

გვწამს, რომ იგი კვლავ მტკიცედ იდგება საყვარელი სამშობლოს დამცველთა რიგებში.

შიშენკო — სამხედრო ნაწილის მეთაური, ზახაროვი — მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

ბოქაულში ხტომა

თავი ისახელეს

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კუბაშეში ბახეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრებაში განთიადელმა სპორტსმენებმა — 13 წლის ი. გუტიაკულოვამ, 16 წლის ლ. ცოტაძემ და 12 წლის ე. ბელევამ თავი ისახელეს. უფრო მეტიც, როცა გუნდური შედეგები შეჯამდა, „განთიადის“ ნაკრებს მეორე საარჩიო ადგილის დაკავება მიეულოცეს. ეს ყველასათვის მოულოდნელი, მაგრამ ღირსეული წარმატება იყო. ცოლ-ქმარმა ლ. და ი. გუტიაკილოვებმა მოკლე ხანში არაერთი თბილისელი მოზარდი წყალში მხტომელი დააოსტატეს. განთიადელებმა კუბაშევში მოპოვებული წარმატებისათვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურეს.

ჭადრაკი

დარჩა ერთი ტური

ლიტვის ქალაქ კაუნასში სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატების უკანასკნელისწინა, მერვე ტურის მატჩები გაიმართა. გოგონათა შეჯიბრებაში ლიდერობს მიჩურინსკელი ე. სტუპნია — 6,5 ქულა. 5,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით მეორე აგილზეა თბილისელი ქ. მელაშვილი.

ჭაბუკთა ტურნირს კვლავ ლიდერობს ზ. აზმაიფარაშვილი — 7 ქულა. ბოლო, IX ტურში მას ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის ყაიმიც ჰყოფნის. დღეს დასკვნითი ტურია.

● ფეხბურთი: მსოფლიო პირველობა

□

● პირველი მატჩი პირველ ივნისს

კენჭისყრამ დაასახელა

14 იანვარს ბუენოს-აირესის თეატრ „სან მარტინიში“ მოეწყო ფეხბურთელთა მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრა. აი როგორ განაწილდნენ გუნდები წინასწარ ჯგუფებში:

პირველი ჯგუფი. არგენტინა, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი.

მეორე ჯგუფი. გფრ, პოლონეთი, ტუნისი, მექსიკა.

მესამე ჯგუფი. ბრაზილია, ესპანეთი, ავსტრია, შვეიცია.

მეოთხე ჯგუფი. ჰოლანდია, შოტლანდია, ირანი, პერუ.

ჩვენი კორესპონდენტი: ფავორიტები და აუტსაიდერები.

მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კენჭისყრის შედეგებს ფართოდ განსაბარკვენ ყველა ქვეყანაში. სტატისტიკოსებმა მაშინვე ათქვეს, არქივები, სპეციალისტებმა კი ძსჯიდნენ დაიწყეს იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად განაწილდა ძალები ჯგუფებში. კატეგორიული გამოთქმები, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, არ ხდება, მაგრამ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო პირველი ჯგუფის შემადგენლობამ, სადაც, საერთო აღიარებით თავი მოიყარეს დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდებმა.

არგენტინა, როგორც ცნობილია, მომავალი ტურნირის მასპინძლის როლში გამოდის. ეს მას დამატებით შანსებს აძლევს სხვა მეტოქეებთან შედარებით. საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდები, „ფრანს ფუტბოლის“ ბოლო კლასიფიკაციის თანახმად, V-VI ადგილებს იყოფენ ევროპაში, იტალიას კი, იმავე კლასიფიკაციის მიხედვით IX ადგილი უკავია, ე. ი. ევროპის საკვეთესო ათეულის სამი მონაწილეა და ჩემპიონატის მასპინძელი ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ. ცხადია, ყველაზე მძაფრი და საინტერესო ბრძოლა სწორედ აქ არის მოსალოდნელი.

მსოფლიოს ჩემპიონს გფრ-ის ნაკრებს ამჯერადაც გაუღიმა ბედმა. ოთხი წლის წინ ჯგუფში მას მხოლოდ ერთი ძლიერი მეტოქე ჰყავდა გდრ-ის სახით. ახლა მისი მთავარი კონკურენტი პოლონეთის გუნდი იქნება. სხვა ორი მონაწილე — ტუნისი და მექსიკა ვერც მსოფლიო ჩემპიონს გაუწევს კონკურენციას და ვერც პოლონეთის ფეხბურთელებს.

მესამე ჯგუფში ფავორიტი ბრაზილიაა. ესპანეთს, შვეიცარიას და ავსტრიას თანაბარი შანსები აქვთ, თუმცა მიმომხილველები ამ სამეულში უპირატესობას მაინც ესპანელებს ანიჭებენ, რომლებმაც შარშან ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის ხელი დაიმკვიდრეს. ეს მოსაზრება, სხვათა შორის, დაადასტურა „ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაციამაც, სადაც ესპანეთს მესამე ადგილი აქვს განკუთვნილი.

ფავორიტად მეოთხე ჯგუფში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია ითვლება. ირანი, რა თქმა უნდა, აგარიშში არ შედის — იგი აშკარა აუტსაიდერია. დარჩა ორი გუნდი — პერუ და შოტლანდია. ერთ-ერთმა ბრძოლა უნდა განაგრძოს ნახევარფინალში, მეორემ კი... კენჭისყრის შემდეგ პერუელი სპეციალისტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი, თუმცა არც შოტლანდიის წარმომადგენლებს გამოუთქვამთ უკმაყოფილება ბედით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა ამ ჯგუფშიც საინტერესო იქნება, მით უმეტეს, რომ პერუ და შოტლანდია აშკარად სხვადასხვა საფეხურთან ენაზე ლაპარაკობენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ კენჭისყრას და ვნახოთ, არის თუ არა რამე ანალოგია წინა ჩემპიონატებთან?

1930 წელს არგენტინაცა და საფრანგეთიც პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ. მაშინ გამარჯვება არგენტინის გუნდს დარჩა — 1:0 (ეული გაიტანა მონტიმ). 1958 წელს მეოთხედფინალში გასვლისთვის ერთად იბრძოდნენ ბრაზილია და ავსტრია. ბრაზილიელებმა ის ბრძოლა დამაჯერებლად მოიგეს 3:0 (ორი გოლი გაიტანა მაცოლამ, ერთი — ნ. სანტოსმა).

ოთხი წლის შემდეგ კენჭისყრამ დააწყვილა არგენტინა-უნგრეთი და ბრაზილია-ესპანეთი. პირველი მატჩი შედარებით უინტერესო იყო და ფრედ დამთავრდა (0:0), მეორე შეხვედრა კი საკმაოდ მწვავე და უხეში ბრძოლით აღინიშნა. 72-ე წუთამდე წინ ესპანელები იყვნენ (ბურთი პირველ ტაიმში აღელვარდომ გაიტანა), მერე კი ამარილდომ ორჯერ აიღო ესპანელთა კარი.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა არგენტინისა და იტალიის ფეხბურთელთა შეხვედრას 1974 წელს. ამ მატჩში გამარჯვებული ნახევარფინალური ტურნირის საგზურს იღებდა. ბრძოლა დამთავრდა ფრედ (1:1) და სამხრეთამერიკელებმა ბურთების უკეთესი სხვაობით უკან ჩამოიტოვეს მეტოქე.

როგორი იქნება ამჯერად ძალთა შეფარდება ძველ სპორტულ მეტოქეებს შორის? ამ და სხვა კიდევ ბევრ შეკითხვაზე პასუხს გაგვცემს მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელიც დაიწყება 1 ივნისს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გფრ-ისა და პოლონეთის გუნდების მატჩით.

ნ. გუგუშვილი.

ქალათბურთი

ამერიკული ტურნე

თავისი ამერიკული ტურნესსრ კავშირის ქალთბურთელთა ნაკრებმა ლოს-ანჯელესში დაიწყო. აქ საბჭოთა სპორტსმენებმა დამამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტურ შეჯიბრებათა ათეზის ჩემპიონი, კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდი „იუკლა“ ანგარიშით 80:79 (37:35). მატჩს, რომელიც ტრანსლირებულ იქნა ეროვნული ტელევიზიით, ესწრებოდა 15 ათასი მაყურებელი.

მოკლედ —

ფეხბურთი. დონეცკის „შახტიორი“ ესტუმრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონთან „მაგდებურგთან“ გამართა ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბადმინტონი. კოპენჰაგენში საბჭოთა სპორტსმენებმა გამართეს ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ საკლუბო გუნდთან — „სნიკთან“. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:5.

მძლეოსნობა. ვაშინგტონის კოლეჯპარკის დარბაზში კანადელმა გრეგორი ჯონმ სიმაღლეზე ხტომაში 231 სანტიმეტრი დაძლია. ეს მაჩვენებელი დარბაზებში მოსასპარეზეთათვის მსოფლიო რეკორდია.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

სპორტისა და უანმრთელობის კომპლექსი





450 კაცზე მეტი მეცადინეობს გორში ძველთაძველი ცხენოსნობის გვერდით გაშენებული ახალი კომპლექსის სპორტულ სკოლაში.

აქ ამზადებენ ტანვარჯიშის, ფრენბურთის, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, კალათბურთის, ველოსიპედის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკისა და სპორტის სხვა სახეობათა მომავალ ოსტატებს.

ახალი შენობის ორი დიდი დარბაზი დათმობილი აქვთ ტანმოვარჯიშეებს, კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ხელბურთელებს, მოჭიდავეებს, ხოლო ორი პატარა — მოკრივეებს, ძალოსნებს.

სურათებზე: ზემოდან — გორის სპორტული კომპლექსის შენობა; ტანვარჯიშის დარბაზში მიმდინარეობს მორიგი მეცადინეობა, რომელსაც ატარებს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლარისა პეტროშენკო; მომავალ კალათბურთელებს ავარჯიშებს მწვრთნელი, სპორტის ოსტატი იოსებ ქომელაშვილი.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ტელევიზია

17 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეინარჩუნე ცეცხლი“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — განცხადებები, 17.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავტომობილი „ნივა“, 18.30 — მოსწავლეთათვის — „გვიხმობს სპარტაკიადა“, 19.00 — ჩემს სამყაროს ვინ იმღერებს — პოეტი გ. ძნელაძე (განმეორებით), 19.35 — სპორტული მიმოხილვა, 20.00 — საერთაშორისო დღიური, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მუდმივი ძახილი“ — „გამოცდა“ — VIII სერია, პრემიერა. (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (ფარადი).

რადიო

18 იანვარი

პირველი პროგრამით

06.40 — „ჩვენი მთა-ბარის პანგები, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.30 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — რ. ლაღიძე — კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ვ. კალინიკოვი — საორკესტრო პიესები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ეკრანის მელოდიები, 18.45 — უკრაინის სიმღერები, 19.00 — საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი განუყოფელია, 19.15 — დ. კაბალევსკი — საფორტეპიანო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ერევნიდან), 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „გაიცანით!“, 21.30 — კონცერტი ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, 23.30 — ლირიკული მელოდიები.

თეატრი

17 იანვარი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში ავი ძაღლია; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პაემანი ცაში.

კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-99, ბ/შგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განუყოფლებებისა: პარტიულ—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლებისა — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 01925

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14